პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი, 1944 წ. № 206 (7159). ფასი 20 კაპ.

საშემოდგომო თესვის გადამწყვეტი დღეები

საშემოდგომო ნათესებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოში. ამიტომ თესვის უმოკლეს ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა 1945 წელს ბარაქიანი მოსავალი მივიღოთ. სადაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათავეში ჩადგნენ კოლმეურნეთა მასების შემოქმედებითს ინიციატივას, სადაც თესვის ვადებს იცავენ და ძალები სწორად გაანაწილეს, იქ კარგ შედეგებს აღწევენ. მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში შედარებით წინ არის ახალქალაქის რაიონი, რომელმაც 5 ოქტომბრისათვის გეგმის 76,7 პროცენტი დასთესა. ორგანიზებულად მიმდინარეობს თესვა აგრეთვე თბილისის, დუშეთისა და ბორის რაიონებში.

მაგრამ საერთოდ რესპუბლიკაში თესვის ტემპები ჯერ კიდევ არადაკმაყოფილებელია. 5 ოქტომბრამდე კოლმეურნეობებში დათესილი იყო 30.000 ჰექტარით ნაკლები, ვიდრე წარშარ ამავე რიცხვისათვის.

თესვის გეგმის დაწესებულ ვადებში შესრულებისათვის არასაკმაო იბრძვიან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამეწარმეო-მოქმედო ორგანოები. ამას ისიც მოწმობს, რომ 5 ოქტომბრისათვის ოლქში დათესილი იყო მხოლოდ 899 ჰექტარი, მაშინ როდესაც თესვის გეგმა 13.500 ჰექტარს შეადგენს. ძალიან დაბალია თესვის ტემპები ადიგენის რაიონში. აქ დათესილია მხოლოდ 48 ჰექტარი. ნელა სთესავენ ახალციხის, ბორჯომის, ბორჩალოს, წითელწყაროს და ყვარლის რაიონებში.

ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საქმეშეობების რიგ-რიგობით წარმოებას. საშემოდგომო ხვნა-თესვაზე საქმეტორო პარკი სრული ნაყოფიერებით არ არის დატვირთული, საკმაო ყურადღება არ ექცევა მუშასაქონლის მაქსიმალურად გამოყენებას და ადამიანების მოუწესრიგებლობის შემთხვევები.

მაღალხარისხოვანი თესლი უხვი მოსავლის საფუძველია. როგორც სჩანს, ზოგან ამას არ ითვალისწინებენ და ახლაც, თესვის ამ გაცხარებულ პერიოდში, მთელი რიგი რაიონები ნელი ტემპებით აწარმოებენ თესლის სათესლო კონდიციამდე აყვანას. ასეთ რაიონებს ეკუთვნებიან ყვარელი, ყარაია, სადარეჯო, ასპინძა, ბაშკიჩეთი, ბორჩალო და თელავი.

დადგა საშემოდგომო თესვის გადამწყვეტი დღეები. ახლა თვითეული საათიც კი ძვირფასია. ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე დგას ამოცანა გააძლიერონ თესვის ტემპები. ვადების დაცვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ზამთრის არახელსაყრელ პირობებს ის მოერეული უძლებს კარგად, რომელიც დათესილია აგროტექნიკურ ვადებში. ასეთი ნათესი სიცივეებს დადგომამდე ასწრებს გაღვივებას და ფესვთა სისტემის კარგად განვითარებას. მარშან ნათესთა დაზვრის შემთხვევები იყო, რაც უმთავრესად თესვის ვადების გაჭიანურებამ გამოიწვია. წელს ეს ფარ უნდა დავუშვათ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება აგროტექნიკურ მოთხოვნათა დაცვაზე. მაგრამ ადგილებიდან ცნობები მოდის, რომ ზოგან ვხედებით აგროტექნიკის გამარტივების მავნე პრაქტიკას. გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურის კოლმეურნეობაში მტს-ის მე-12 სატრაქტორო ბრიგადამ 3 ჰექტარი ზერელედ მოხნა. ამავე რაიონის ველინციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძსა“ და სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ზოგი ნაკვეთი ისე მოხნეს, რომ ხარვეზები დასტოვეს. აქედან სჩანს, რომ ზოგან რაიმიწგანები, მტს-ები და მათი აგრონომები საკმაო მეთვალყურეობას არ უწევენ ხვნა-თესვის ხარისხს. საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა ხვნა-თესვის მაღალი ხარისხისათვის.

წელს ზოგიერთმა კოლმეურნეობამ და რაიონმა მარცვლეულის დაბალი მოსავალი მიიღო. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მინდვრის თაგვთან ბრძოლა კარგად ვერ მოაწყეს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ ადგილებზე მეტი ყურადღება მიექცა მინდვრის თაგვთან ბრძოლას. მაგრამ ნაკვეთების შხამმასალით დამუშავების ხარისხი ზოგან ცუდია. გურჯაანის და ნაწილობრივ წითელწყაროს რაიონში შეხვდებით თაგვის სოროებს, რომლებიც შეწამლული არ არის. ასეთ შემთხვევაში შხამმასალებით წამლობა სრულ ეფექტს ვერ მოგვცემს. პარტიის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოების აღმასკომები მოვალენი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მინდვრის თაგვის წინააღმდეგ ბრძოლას.

ხვნა-თესვის საქმეში დიდი ჩამორჩენა აქვთ ხაშურის, სტალინირის, ყვარლის მტს-ებს. საშემოდგომო ხვნის გეგმის შესრულებაში ტრაქტორების მაღალნაყოფიერად გამოყენებისათვის საჭიროა მინდვრად მოვაწყოთ სარემონტო სახელოსნოები, კარგად დავაყენოთ ტრაქტორების ტექნიკური მოვლა და მეტი დახმარება გავუწიოთ ახალგაზრდა ტრაქტორისტებს. აუცილებელია აგრეთვე ხვნა-თესვაზე სრული ნაყოფიერებით გამოვიყენოთ მუშასაქონელი.

მომავალი წლის უხვი მოსავლის საკითხს საშემოდგომო თესვის და მზრალად ხვნის გეგმების შესრულება სწყვეტს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაწესეს მზალად ხვნის ხუთდღიური დავალება. ზოგან ეს დავალება მთლიანად არ სრულდება, ხოლო ბაშკიჩეთის, საგარეჯოს, ბოლნისის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, გურჯაანის, სილნაღის, თიანეთის, თელავისა და ყარაიის რაიონებს ოქტომბრის პირველ ხუთდღიურში ერთი ჰექტარიც არ მოუხნავთ მზრალად.

სოფლად ამჟამად ბევრი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოა შესასრულებელი. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, უზრუნველჰყონ ყველა სახის სამუშაოთა მოხერხებულად შეხამება.

კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ სარატოვის ოლქის ეროსკრუსენსკოეს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მოწოდებას საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ამოცანა ის არის, რომ ყველა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, მტს-მა, ბრიგადამ და რაიონმა გაანალდოს თავისი პირობა, ახალი საწარმოო წარმატებებით აღნიშნოს გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით წითელი არმიის უდიდესი ისტორიული გამარჯვებანი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაშ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ დრო, აგროტექნიკურ ვადებში, მთლიანად, გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმა. ამით მტკიცე საფუძველს ჩავუყრით მომავალი წლის უხვ მოსავალს!

საქართველომ შეასრულა ციტრუსების მყნობის გეგმა

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 101,8 პროცენტით შეასრულეს ციტრუსების (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი) მყნობის გეგმა. დამყნილია 3.867.700 ძირი ციტრუსი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.800.000 ძირისა.

მყნობის გეგმის შესრულებაში მოწინავენი არიან აჭარის ასს რესპუბლიკა, მახარაძის, ვანის, სამტრედიის, ფოთისა და წალენჯიხის რაიონები, რომლებმაც ვადაზე 10-15 დღით ადრე 100 პროცენტით შეასრულეს მყნობის გეგმა.

ციტრუსოვანთა მყნობაში კარგი მაჩვენებლები აქვთ ურეკისა და კახბრის საბჭოთა მეურნეობებს.

ნამყენის გახარება საერთოდ კარგია.

პოლკოვნიკ დ. გ. შანჟაშვილის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პოლკოვნიკი **დიმიტრი გიორგის-ძე შანშაშვილი** დაჯილდოებულია **წითელი დროშის** ორდენით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

10 ოქტომბრის ოპერაციული ცნობა

10 ოქტომბრის განმავლობაში კუნძულ **სარემაზე** (**ეზელზე**) ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგისაგან კუნძულის სამხრეთ ნაწილის გასაწმენდად.

რიგის მიმართულებით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ლიპტერი, ილტენი, ბარაალნე, როპაჟი, ჩაპასი, როტკალი, ველტერტი, სტოკინი, გლანკასი, დუკასი** და რკინიგზის სადგურები **ლილასტე, გაუია, როპაჟი, იუმუტილე, საულკალნე.**

ქალაქ **კლაიპედის** (**მემელის**) ჩრდილოეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც წარმატებითს შეტევას ავითარებენ, დაიკავეს ლიტვის სსრ სამაზრო ცენტრები ქალაქი და რკინიგზის კვანძი **კრეტინგენი**, ქალაქი და დიდი რკინიგზის სადგური **ტაურაგენი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 300-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ვაინიოდე, ალექსანდრია, მოსედისი, ლენკიმაი, სტარი იპილტისი, გრუშლაუკისი, სალანტაი, დარბენაი, გოლუდი, შვეკენი, გოლდოგი, ალექსანდრიასკოე, დეგუცე, დრავდიანი, პრიშოლნტი, ტაურაი** და რკინიგზის სადგურები **ვაინიოდე, კალუკნე, მედინინკაი, ნავიასლეკიაი, დარბენაი, ტუბავსე, შატეიკი, კოლრიანი, ვაფერაიცე, კლიბი.** ჩვენი ჯარები გავიდნენ ბალტიის ზღვის სანაპირზე ქალაქ **ლეპაიის** (**ლიბავის**) სამხრეთით და ამასთან დაიკავეს ქალაქი **პალანგა.** ამრიგად ჩვენმა ჯარებმა აღმოსავლეთ პრუსიაში უკანდასახვევი გზა მოუჭრეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების დაჯგუფებას, რომელიც **რიგა-ლიბავა-ვინდავის** რაიონში იმყოფება.

ქალაქ **კაუნასის** დასავლეთით ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ლიტვის სსრ სამაზრო ცენტრი ქალაქი **შაქიაი.**

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში, ქალაქ **რეგინის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **გორენი, დედრადი, მეზე-ერმენიეში, მეზე-კაგოჩა, მეზე-შალიი, ციბარენი, ანტონი, ფელეაჩული** (5 კილომეტრზე ქალაქ **კლუჟის** სამხრეთით), **ვლახა, სოფეშულ-რეჯე.**

უნგრეთში ქალაქ **დებრეცენის** სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **დერეჩკე** და დასახლებული პუნქტები **კონიარი, ბოჩაი, ესტარი, ხენცინდა.** ჩვენი ჯარები ზედ მიადგნენ ქალაქ **დებრეცენს** და ბრძოლები გაიჩაღეს ქალაქის გარეუბნებში.

იუგოსლავიის ტერიტორიაზე ქალაქ **პოშარევაცის** სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **პანკოვო, ჟაბარი, ველიკა კლანა, იზვარიცა, რავნა რეკა, ლუკოვო, ბოლევაცი** და საკვანძო რკინიგზის სადგური **ველიკა კლანა.** ამრიგად ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს **ნიშ-ბელგრადის** რკინიგზა და გზატკეცილი. 8 და 9 ოქტომბერს ფრონტის ამ უბანზე ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 8.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

9 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაიზიანეს და მოსპეს გერმანელთა 106 ტანკი. სამაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 78 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმები ლეპაიის (ლიბავის) ნავსადგურსა და რიგის ნავსადგურზე

9 ოქტომბერს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ ჩაატარა მასირებული თავდასხმები ლეპაიის (ლიბავის) ნავსადგურსა და რიგის ნავსადგურზე. დაბომბილ იქნენ ამ ნავსადგურებში მყოფი გერმანელთა ტრანსპორტები, აგრეთვე მოწინააღმდეგის სამხედრო საწყობები და სამხედრო ეშელონები რკინიგზის სადგურებში.

თავდასხმის მომენტში ლეპაიაში (ლიბავაში) იმყოფებოდა გერმანელთა 12 ტრანსპორტი. დაბომბვის შედეგად ნავსადგურში დიდი ხანძრები გაჩნდა, რომლებსაც თან ახლდა აფეთქებანი. დიდი ძალის აფეთქება აღინიშნა ავრეთვე რკინიგზის სადგურის რაიონში. ხანძრებსა და აფეთქებებს ჩვენი მფრინავები სამიზნოდან წამოსვლისას 200-მდე კილომეტრ მანძილიდან ხედავდნენ.

რიგის ნავსადგურში დაბომბვით მრავალი ხანძარი გაჩნდა. დიდი ხანძრები გაჩნდა საექსპორტო ნავსაყუდელის რაიონში, რომლის გემმისადგომებთანაც თავდასხმის დროს გერმანელთა სამი ტრანსპორტი იმყოფებოდა.

გუშინ, 9 ოქტომბერს, წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა **რიგის** აეროპორტში ჩასძარეს გერმანელთა ორი ტრანსპორტი, ტრალერი, საგუშაგო კატერი და მოწინააღმდეგის სხვა ხომალდები. გერმანელთა რამდენიმე ტრანსპორტი სერიოზულად დაზიანეს.

* * *

რიგის მიმართულებით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ნ შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც **რიგის** აეროპორტის სანაპიროს გასწვრივ უტევენ, გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა ტბებს შუა მდებარე დეფილეში და მდინარე გაუიას მიადგნენ. საბჭოთა ჯარების ძლიერმა და უეცარმა დარტყმამ არეგ-დარეგა გამოიწვია მოწინააღმდეგის რიგებში. გერმანელებმა დაჭრილები და ბევრი საჭურველი მიატოვეს და თავზარდაცემულებმა უკან დაიხიეს. მტრის დევნისას ერთმა ჩვენმა ნაწილმა გაჭრა 300 ჰიტლერელი და ტყვედ წამოიყვანა 270 კაცი. სხვა ჩვენი ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი — რკინიგზის სადგური როპაჟი, რომელიც ქალაქ **რიგიდან** 15 კილომეტრზე მდებარეობს.

* * *

ქალაქ **კლაიპედის** (**მემელის**) ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას აკეთებენ. მოწინააღმდეგე ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა შეენარჩუნებინა მისთვის სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი კომუნიკაციები ბალტიის ზღვის სანაპიროზე და შეუპოვარ წინააღმდეგობას ჯიუტევდა. ამ თავისი ჯარები გააძლიერა ორი სატანკო და სამი ქვეითი დივიზიით და ოცზე მეტი კონტრიერიში მოიტანა. გააფთრებულ ბრძოლაში საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა უკუაქციეს მტერი, დაიდევნეს მის ჯანადაგურებულ ნაწილებს და წინ წიწიკის 30-მდე კილომეტრით. ღამით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე შინია და გაარღვიეს გერმანელთა სიმაგრეები. ამ მდინარის ღასავლეთ ნაპირზე. საბჭოთა ნაწილებმა გადამწყვეტი დარტყმებით დაიკავეს ქალაქი **კრეტინგენი**, ხოლო შემდეგ აგრეთვე ქალაქი **პალანგა** ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ამრიგად, ჩვენმა ჯარებმა აღმოსავლეთ პრუსიაში უკანდასახვევი გზა მოუჭრეს გერმანელთა ჯარების **რიგა-ლიბავა-ვინდავის** დაჯგუფებას. არასრული ცნობებით, ორი დღის ბრძოლების განმავლობაში ამ უბანზე მოსპობილია გერმანელთა 50-მდე ტანკი და 80 საველე ქვემეხი. გერმანელებს წაართვეთ 25 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 45 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 200-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, სიმარი მასალისა და სხვადასხვა სამხედრო მასალების საწყობები. ტყვედ წამოყვანილია 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ქალაქ **კლაიპედის** სამხრეთ-აღმოსავლეთით გაგაფთრებული ბრძოლები მოხდა გერმანელების მიერ ძლიერ გამაგრებულ ქალაქ **ტაუროგენის** მისადგომებზე. ნ შენაერთის მებრძოლებმა ამ ქალაქს ჩრდილო-დასავლეთიდან შემოუარეს. სხვა ჩვენი ნაწილები ტაუროგენის სამხრეთ-დასავლეთით გაიჭრნენ. გუშინ საღამოს ჩვენმა ქვეითმა ჯარმა და ტანკებმა ქალაქზე იერიში მიიტანეს. დღეს დილის 6 საათზე ქალაქი ტაუროგენი — გზატეხილების დიდმნიშვნელოვანი კვანძი — გაწმენდილ იქნა გერმანელებისაგან. ქალაქ **ტაუროგენისათვის** ბრძოლებში დამარცხებულია მოწინააღმდეგის 21-ე ქვეითი დივიზია.

* * *

უნგრეთის ტერიტორიაზე ჩვენი ჯარები, რომლებიც ბრძოლებით მიიწევენ წინ, ქალაქ **დებრეცენის** სამხრეთ-დასავლეთ გარეუბნებში შეიჭრნენ. მოწინააღმდეგე, რომელიც მომზადებულ თავდაცვითს ზღვედებს ეყრდნობა, გაგაფთრებულ გადმოდის კონტრიერიშებზე. ჩვენი მებრძოლები მარჯვედ მანევრირობენ, გარს ერტყმიან მტრის თავდაცვის კვანძებს და სპობენ მათ. ქალაქის გარეუბნებში გაგაფთრებული ბრძოლები სწარმოებს. მოწინააღმდეგემ სცადა ქალაქ **დებრეცენის** გარნიზონისათვის მაშველი ჯარი მიეყვანა ქალაქ **დერეჩკედან.** ჩვენმა ნაწილებმა სწრაფი დარტყმით გადასჭრეს **დერეჩკე-დებრეცენის** გზატკეცილი და გაანადგურეს მტრის რაზმები, რომლებიც **დებრეცენის** გარნიზონის დასახმარებლად მიიჭქროდნენ. საბჭოთა მებრძოლები უკანდახვეულ ჰიტლერელებს დაედევნენ, ქალაქ **დერეჩკეში** შეიჭრნენ და დაიკავეს იგი. გაქცეულია ათასზე მეტი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 800 ტყვე და ბევრი დაული.

* * *

იუგოსლავიაში ჩვენი ჯარები, რომლებიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ, განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. საბჭოთა და იუგოსლავიელმა მებრძოლებმა გასტეხეს გერმანელთა წინაალმდეგობა, მდინარე მორავაზე ვადავიდნენ და დაიკავეს რკინიგზის სადგური **ველიკა პლანა.** ამ სადგურის დაკავებით ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს ნიშ-ბელგრადის რკინიგზა. ბრძოლების მსვლელობაში გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით. ორი დღის ბრძოლებში მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ჩვენმა ნაწილებმა გერმანელებს წაართვეს 3 ტანკი, 120 ავტომანქანა, 12 საწყობი, 22 სარკინიგზო ეშელონი და 2,200 ვაგონი სხვადასხვა ტვირთით.

შკრაინის ოთხმა ოლქმა შეასრულა პურის ჩაბარების გეგმა

უკრაინის ოთხმა ოლქმა — კიევის, ჟიტომირის, კამენეც-პოდოლსკისა და კიროვოგრადისამ შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების წლიური გეგმა. პურის ჩაბარების გეგმის შესრულებას უახლოვდებიან ჩერნიგოვის, პოლტავის, ნიკოლაევის, დნეპროპეტროვსკისა და სტალინოს ოლქები. (საკდესი).

მრავალათასოვანი ქვირაობა მინსკში

მინსკის 30.000-ზე მეტი მცხოვრები გამოვიდა ქვირას, 8 ოქტომბერს, რესპუბლიკის დედაქალაქის აღდგენითს სამუშაოებზე, მუშები, სტუდენტები, მოსწავლეები, მოსამსახურეები, მსახიობები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები შლიდნენ სახლთა ნანგრევებს, სწმენდდნენ მოედნებს, სადაც ახალი შენობები უნდა აიგოს. ერთ დღეს შეგროვებულია მილიონზე მეტი აგური, ათასობით ტონა კოჭი, ბევრი რელსი, რადიატორი, სახურავის რკინა, წყალსადენის მილი. შეკეთებულია დაახლოებით სამი კილომეტრი ტრამვაის ლიანდაგი, გაკეთებულია ახლადასაგები ხიდთან მისასვლელი გზები.

ქვირაობაზე მომუშავეთ პირველი ჩანაწერები გაუკეთეს „ბელორუსიის დედაქალაქის აღდგენის მონაწილის პირადს წიგნაკებში“. (საკდესი).

ათი ათასი ოსტატი და აღმზრდელი სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისათვის

შრომითი რეზერვების სამხარეო, საოლქო და საქალაქო სამმართველოებმა მოაწყეს საწარმოო სწავლების ოსტატთა კურსები. წელს ამ კურსებმა 3.000-ზე მეტი სპეციალისტი გამოუშვეს, რომლებიც გაგზავნილი არიან სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ახალგაზრდობის საწარმოო სწავლებისათვის.

გარდა ამისა, შექმნილია კურსები ოსტატებს, აღმზრდელებისა და სამხედრო ხელმძღვანელების გადასამზადებლად. ამ კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა რამდენიმე ათასმა კაცმა.

წელს სხვადასხვა კურსებმა სულ მოამზადეს 10.000 ოსტატი და შრომითი რეზერვების სისტემის სხვა მუშაკები. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა საუზმე გამართა ბ-ნ უ. ჩერჩილისა და ბ-ნ ა. იდენის პატივსაცემად

10 ოქტომბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა საუზმე გამართა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ უ. ჩერჩილისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ა. იდენის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ ბ-ნი უ. ჩერჩილი, ბ-ნი ა. იდენი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ა. ჰარიმანი, კანადის ელჩი ბ-ნი დ. უილგრესი, ავსტრალიის დესპანი ბ-ნი დ. მალონეი, ახალი ზელანდიის დესპანი ბ-ნი ჩ. ბოსველი, ბრიტანეთის საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსი ფელდმარშალი ა. ბრუკი, გენერალი ჰ. ლ. ისმეი, ბრიტანეთის საბრძოლო მისიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი მ. ბაროსი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მისიის მეთაური გენერალ-მაიორი დ. დინი, დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლები და ბ-ნ უ. ჩერჩილისა და ბ-ნ ა. იდენის თანმხლები პირები, აგრეთვე ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ფ. ტ. გუსევი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ა. ი. ვიშინსკი, ვ. გ. დეკანოზოვი, ი. მ. მაისკი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და თავდაცვის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ბატონ უ. ჩერჩილის განცხადება

მოსკოვში ჩამოსვლის დღეს აეროდრომზე, კინოქრონიკის მიკროფონის წინ, ბ-ნმა უ. ჩერჩილმა შემდეგი განაცხადა:

„ბატონო მოლოტოვ, თქვენო აღმატებულებანო, ქალბატონებო და ბატონებო.

ამ საშინელი და სისხლისმღვრელი ომის განმავლობაში მე შორიდან მოვდივარ ამ აეროდრომზე მოსკოვში. ორ წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც მე აქ უკანასკნელად ვიყავი. მაგრამ ეს ორი წელი განუწყვეტელ გამარჯვებათა წლები იყო. ჩვენ ყველანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მტკიცედ ვუტევდით ჩვენს საერთო მტერს, რომელმაც მოსპო ადამიანობის განძი და მშვიდობა, რომელმაც თავის ყოველ ნაბიჯს ჩირქი მოსცხო სასტიკი საქმეებით და საშინელი მხეცობით და რომელსაც ახლა თავს ატყდება გაერთიანებულ ერთა შურისძიება.

ასეთი დიდი თავდადებითა და ერთგულებით მიღწეულ გამარჯვებათა შესანიშნავი პერიოდის განმავლობაში რუსეთის არმიებმა, საბჭოთა კავშირის არმიებმა მტერს მძლავრი დარტყმები აგემეს. ისინი პირველნი იყვნენ მათ შორის, ვინც დაამსხვრია გერმანიის არმიის სული და სამხედრო მანქანა.

ჩვენი მხრივ ჩვენც, შეერთებულმა შტატებმა და ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობამ, უკიდურეს ზომამდე დავიძაბეთ ჩვენი ძალღონე. და თქვენ უნდა განსაჯოთ, ვაგემეთ თუ არა მტერს მძიმე დარტყმები.

მე აქ ჩამოვედი იმედის ტალღებზე, იმ რწმენის ტალღებზე, რომ გამარჯვება მიღწეულ იქნება, და იმ იმედით, რომ, როდესაც იგი მიღწეულ იქნება, ჩვენ ყველანი შევეცდებით მსოფლიო გადავაქციოთ ადამიანთა დიდი მასების საუკეთესო საცხოვრებელ ადგილად“.

მფრის თავდაცვის გაძლვევა

მოქმედი არმია, 9 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მდინარე **ვენტა** რუკებზე აღნიშნული იყო როგორც ფრონტის ხაზი. წყლის ზღუდის გაღმა მოწინააღმდეგის თავდაცვითი ზოლია. იქ არის დანაღმული არეები, მავთულობარები, სანგრებისა და თხრილების განშტოებული ქსელი, ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების ასობით ბატარია. ჰიტლერელთა **დივიზიები** გულდასმით ემზადებოდნენ თავდაცვისათვის და ელოდნენ ჩვენს შეტევას.

მაგრამ შეტევა მაინც უეცარი იყო. მეტყველმფრქვეველებმა, ნაღმმტყორცნელებმა, მსროლელებმა უხმაუროდ დაიკავეს საწყისი პოზიციები. აქვე იყვნენ ქვემეხების, ტანკსაწინააღმდეგო თოფების გუნდები. მდინარის ნაპირს პირველნი გვარდიელი მესანგრეები მიუახლოვდნენ. ისინი ადგდნენ საიერიშო ბოგირებს. ყველა მებრძოლი და ოფიცერი საარტილერიო მომზადების დაწყებას ელოდა. და იგი დაიწყო. ტყის მდუმარება არტილერიის ქუხილმა დაარღვია. ქვემეხთა გრიალი დედამიწას და ჰაერს ანაზარეზდა, ლითონის ნიაღვარი დაატყდა გერმანელთა პოზიციებს. ყოველი ბატარია, ყოველი ქვემეხი წინასწარ ჩანიშნულ მიზანს ესროდა. ლეიტენანტ მალიუკოვის ბატარიების პირველივე ზალვებმა დაანგრიეს სათვალთვალო პუნქტი, რამდენიმე ბლინდაჟი და სატყვიამფრქვეველო ბუდე. ცეცხლის ძალა ყოველ წუთს მატულობდა. ინგრეოდა გერმანელთა სიმაგრეები. ჰაერში გაიელვა სასიგნალო რაკეტმა. არტილერისტებმა ცეცხლი მტრის თავდაცვის სიღრმეში გადაიტანეს. საბჭოთა გვარდია იერიშზე გადავიდა. ჩვენი ქვეითმოტოსროტელები ზედიზედ გადადიოდნენ მდინარე ვენტაზე და სოლოვეთ ეკრანებიდან ელოდნენ გერმანელთა საბრძოლო წყებებში.

მტრის სანგრებში გაჩაღდა ხელჩართული შეტაკებანი და გრანატით ბრძოლები. ეუცროლამ და სისწრაფემ უზრუნველჰყო წარმატება. ჰიტლერელები შედრკნენ და უკანდახვევა დიაწყეს. შუადღისათვის ამოქმედდნენ ჩვენი ძირითადი ძალები და გაარღვიეს მოწინააღმდეგის ღრმად ეშელონირებული თავდაცვა. მტერი გაიფანრებით იცავდა თავს, ჩვენს მებრძოლებს ბრძოლით უხდებოდათ ყოველი მტკაველი მიწის დაკავება. ჰიტლერელებმა სცადეს საბჭოთა ნაწილები მდინარე ვირვინსკისთან შეეჩერებინათ. მაგრამ მტრის არც ამ ცდებს ჰქონია წარმატება. გაფთრებულ ბრძოლაში ჩვენმა ქვეითმა ჯარმა გადალახა მდინარე, გაარღვია მტრის სიმაგრეები და მოსპო მოწინააღმდეგის 2.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ყველა გვარეობის ჯარების მოქმედებას მანევრი და სისწრაფე ახასიათებს. ჩვენი ნაწილები გარს ერტყმოდნენ მტრის დაქსაქსულ ჯგუფებს, ალყას არტყამდნენ და სპობდნენ მის დასაყრდენ პუნქტებს და ბრძოლებით გადიოდნენ დღეში 20-25 კილომეტრს. ოთხი დღის ბრძოლების შედეგად ბალტიისპირეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარების დახმარებით, წინ წიწიეს 100-მდე კილომეტრით, გაფარეოვეს გარღვევა 280 კილომეტრამდე ფრონტით, დაიკავეს გერმანელთა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტები, რკინიგზის სადგურები და 2,000-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

გაბედულად და უნარიანად მოქმედებდნენ ჩვენი მებრძოლების წვრილ-წვრილი ჯგუფები. უფროსი სერჟანტ კო

საბჭოთა უკრაინის კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა

მ ი მ ა ა რ თ ვ ა

საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკის, სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ, საბჭოთა კავშირის მარშალ დიდი **სტალინის** გენიალური წინამძღოლობით, ანადგურებს რა საძულველ მტერს, მთლიანად გაათავისუფლა შშობლიური საბჭოთა უკრაინა ფაშისტ დამშონებელთა უღლისაგან.

ჩვენ, კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, არასოდეს არ დავივიწყებთ პირსისხლიანი ჯალათების — გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი ანაზღარი დამჭაშვების — უკრაინელ-გერმანელი ნაციონალისტების დანაშაულობას; ისინი აწამებდნენ, სტანჯავდნენ უკრაინელ ხალხს, სწვავდნენ და ანგრევდნენ ჩვენს შშვენიერ ქალაქებსა და სოფლებს, ქარხნებსა და შახტებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ჩვენი საუკეთესო ადამიანების სისხლითა და ცრემლით მორწყეს წყეულმა დამპყრობლებმა საბჭოთა უკრაინის ნოყიერი ყანები.

ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ, თუ როგორ მარხავდნენ ცოცხლად ფაშისტი მხეცები ჩვენს მამებსა და დედებს, ჩვენს ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს ვასილკოვთან და ზოლოტონოშასთან, ტროსტიანეცთან და კუპიანსკთან. ჩვენ არ დავივიწყებთ საშინელ ნგრევას, რაც გერმანელმა დამპყრობლებმა ჩაიდინეს კიევში, პოლტავაში, ჩერნიგოვში, დონბასში, ხარკოვში და საბჭოთა უკრაინის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

უკრაინელ ხალხს თავისი ომაყი თავი არ მოუხრია გერმანელ დამშონებელთა წინაშე. წითელი არმიის რიგებში, პარტიზანულ რაზმებში იგი თავდადებით იბრძოდა და იბრძვის თავისი შშვენიერი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და სოციალისტური წყობილებისათვის. მთელმა საბჭოთა ხალხმა იცის საგმირო საქმეები უკრაინის პარტიზანული რაზმებისა და შენიერთებისა სიდორ კოვპაკის, ალექსი ფიოდოროვის, ალექსანდრე საბუროვის, ანტონ ოდუხისა და სხვების მეთაურობით.

ამჟამად უკრაინა სდგება ფერფლიდან და ნანგრევებიდან. სწრაფად სწარმოებს მისი სახალხო მეურნეობის აღორძინება. ერთ წელზე ნაკლებ ხანში უკრაინაში აღდგენილია 26.439 კოლმეურნეობა, 1.173 მტს-ი, შექმნილია მეცხოველეობის 57.000 საკოლმეურნეო ფერმა. სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკათა დიდ ოჯახში უკრაინა კიდევ უფრო მეტი ძალით იფურჩქნება, ვიდრე ომამდე. ჩვენი გული აღსავსეა მხურვალე მადლობით სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხისადმი და განსაკუთრებით ჩვენი უფროსი ძმისა — დიდი რუსი ხალხისადმი იმ ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რაც მათ გაგვიწიეს ულმობელი მტრის წინააღმდეგ საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მისი სიხალხე მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ჩვენ მხურვალედ, სულითა და გულით ვმადლობთ ჩვენი განთავისუფლებისათვის ჩვენს მამაც, გმირ წითელ არმიას, ჩვენს შშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას, ძვირფას და საყვარელ მამას, ჩვენს დიდ სტალინს.

ჩვენი წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა, საბჭოთა უკრაინის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე ფართოდ გაჯაჭიღეთ სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უსწრაფესად აღორძინებისათვის, რომლებიც განთქმული იყვნენ მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მაღალი მოსავლით, პროდუქტიული მეცხოველეობით. საკოლმეურნეო სოფლის ადამიანები თავიანთ ძალებს არ ზოგავდნენ, რომ განთავისუფლებულ მიწაზე 1944 **წელს უხვი** მოსავალი მიეღოთ.

საზოგადოებრივი მეურნეობის ასაღორძინებლად თავდადებულ შრომაში საბჭოთა უკრაინის კოლმეურნე გლეხობამ თავისი წრიდან წამოაყენა სოციალისტური შრომის ნამდვილი მოწინავენი. ჩვენმა სამშობლომ გაიგონა ახალი სახელები — ბაში ერმოლენკოს და ელენე ხობტის, დაშა ავრამენკოს და ანა ბატოვას, იაკობ შულგის და ევგრაფ პეტროვსკის, მარიამ კუტოვას და ბარბარე სახნოს სახელები. ყოველი დღე ამრავლებს ასეთ მოწინავე ადამიანთა რაოდენობას, თავიანთი შრომით ისინი სახელს ჰმატებენ სტალინის აღზრდილებს — უკრაინის სტახანოველებს, განამტკიცებენ საკოლმეურნეო წყობილების ძლიერებასა და უძლეველობას.

ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ფრონტისა და ქვეყნისათვის მიგვეცა მეტი პური და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. და ეს ამოცანა ჩვენ წარმატებით გადავწყვიტეთ.

ჩვენი შრომა ერთიანად ანაზღაურდა. ჩვენ მოვიყვანეთ და ავიღეთ მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი.

ამჟამად ჩვენ ვლეწავთ აღებულ პურს — გამარჯვების მოსავალს, ვამთავრებთ საშემოდგომო კულტურების თესვას. ჩვენ ვიცით, რომ სამშობლოს ესაჭიროება ბევრი პური, განსაკუთრებით ახლა, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის გადამწყვეტ მომენტში. დღეს პური უბადლო იარაღია მტერთან ბრძოლაში, ჩვენი მეურნეობის შემდგომი აღდგენისა და ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამავე დროს ვზრუნავთ ხვალინდელი დღისთვისაც. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა დავთესოთ რაც შეიძლება მეტი საშემოდგომო კულტურები, რათა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის სახელმწიფო გეგმა.

ჩვენს საკოლმეურნეო შრომაში არ ჩამოვრჩებით საბჭოთა მეომრების სამბრძოლო საგმირო საქმეებს ფრონტზე. ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ პირველ სახელმწიფო მცნებას, მიკეცემთ სახელმწიფოს ჩვენს ხვედრს საავალდებულო ჩაბარებებს და ნატურასაზღაურს მტს-ების მოშაობისათვის, წარმატებით ჩავატარებთ კოლმეურნეობათა მიერ პურის ჩაბარებას.

1944 წლის 5 ოქტომბრისათვის უკრაინაში პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 38,4 პროცენტით, ხოლო ჟიტომირის, კიევის, კამენეც-პოდოლსკის, კიროვოგრადისა და ჩერნიგოვის ოლქების კოლმეურნეობებმა უკვე მთლიანად შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე პურის ჩაბარების დარგში.

ამხანაგებო!

ჩვენთვის — უკრაინის კოლმეურნეებისათვის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის, სახელმწიფოს ინტერესები, ეროვნული ინტერესები ყველაფერზე უფრო მაღლა დგას. ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ პატრიოტულ მოვალეობას ჩვენი საყვარელი სამშობლოს — **სსრ კავშირის** წინაშე, წითელი არმიის წინაშე, ამხანაგ სტალინის წინაშე.

ვალდებულებას ვკისრულობთ:

1. ა. წ. 25 ოქტომბრამდე მთლიანად შეასრულოთ პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა, მთლიანად შევიტანოთ ნატურასაზღაური მტს-ების მუშაობისათვის, მთლიანად ჩავბარეთ მარცვლეული წითელი არმიის პურის ფონდში და დავამთავროთ საბჭოთა მეურნეობების მიერ პურის ჩაბარება.

2. 1944 წლის 1 ნოემბრამდე გეგმის დამატებით შევიტანოთ წითელი არმიის ფონდში 15 მილიონი ფუთი პური.

3. დროულად დავამთავროთ შაქრის ჭარხლის ამოღება, კარტოფილის, მზესუმზირას, სიმინდისა და სხვა კულტურების მოსავლის აღება.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნეობას, კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს გავიჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისა და წითელი არმიის ფონდში პურის ზეგეგმითი ჩაბარებისათვის. მოვუწოდებთ წარმატებით შეასრულოთ ყველა საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაო.

ძვირფასო ამხანაგებო!

ფიცსა ვდებთ მთელი **საბჭოთა ხალხის**, შშობლიური ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, დიდი **სტალინის** წინაშე, რომ ჩვენს ძალებს არ დავზოგავთ და დავეხმარებით წითელ არმიას საძლველი მტრის — გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების განადგურებაში.

ჩვენი სრული გამარჯვების დღე უკვე შორს აღარ არის.

წინ — საკოლმეურნეო წყობილების ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ, ჩვენი დიადი და სამართლიანი საქმის სრული ზეიმისათვის.

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს თავისუფალ საბჭოთა უკრაინას!

Хай живе прославленный полководець Маршал перемоги—наш рідний Сталін!

(წერილი განხილული და მიღებულია კიევის, ჟიტომირის, კამენეც-პოდოლსკის, კიროვოგრადის, ჩერნიგოვის, პოლტავის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს, ხარკოვის, სტალინოს, ნიკოლაევის, ოდესის, ვოროშილოვგრადისა **და უკრაინის სსრ** სხვა ლ-ქების **კოლმეურნეების, მტს-ებისა** და **საბჭოთა მეურნეობების მუშების კრებებზე).**

ჩაის ფოთოლი გეგმის გადამეგებით

მახარაძე („კომუნისტის" **ხაკ. კორ.**). სარატოველთა მომართვის პასუხად სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს 1 ნოემბრამდე აიღონ ერთფლიანი კულტურების მოსავალი, 25 ოქტომბრამდე დაამთავრონ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება.

სოფელ შემოქმედის, ეკადიის, ბოხვაურის, ჭალის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ჩაის კრეფის წლიური გეგმა შეასრულეს, პირობა დასდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის გეგმის გადამტებით სახელმწიფოს ჩაბარონ ჩაის ფოთოლი დიდი რაოდენობით.

ლ. ლოლაძე

გეგმების შესრულება

თეთრი წყაროს რაიონმა მეცხოველეობის ყველა სახის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმა პირველი ოქტომბრისათვის შეასრულა: ხორცისა — 100,2 პროცენტით, რძისა — 102,7 პროცენტით, ბრინზა ყველისა — 106,7 პროცენტით, კვერცხისა — 100,2 პროცენტით, მატყლისა — 107,6 პროცენტით, დიდი ტყავისა — 120,2 პროცენტით, საშუალისა — 126,4 პროცენტით, ცხვრის ტყავისა — 128,2 პროცენტით, ღორის ტყავისა — 100 პროცენტით.

საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი გოგნაძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბურაბანიძე

• • •

გალის რაიონმა ვადამდე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 4.120.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

ჩაის კრეფა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიკომის მდივანი ბეჟია
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ცაცანა

• • •

ხულო („**კომუნისტის**" **საკ. კორ.**). კოლმეურნეობებმა 29 სექტემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს შეტეხის წლიური გეგმა. შეტეხილია 2.648.184 ზონარმეტრი თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.620.400 ზონარმეტრისა.

კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე და 164 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს საადრიო დამზადების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 47 ტონა თამბაქო, ნაცვლად 29 ტონისა.

გ. დავითაძე

გადაცემა მედლისა „კავკასიის დაცვისათვის"

ნაწილი **სმენაზე** დგას. მებრძოლნი სულგანაბული შესცქერიან პოლკის დროშას, თავიანთ დიდებასა და სიამაყეს, რომელიც საზეიმო ორკესტრის აღმაფრთოვანებელი მარშით მოაქვთ მედროშეებს.

— ამხანაგო მებრძოლებო და ოფიცრებო, —მეექვსე ხმით მიმართავს შენიერთის მეთაური მწყობრს,—მედალს „კავკასიის დაცვისათვის" ჩვენ ვიღებთ იმ ისტორიულ დღეებში, როდესაც ძლევამოსილი წითელი არმია ვერაგი მტრის ბუნაგს მიუახლოვდა და საბოლოო ლახვარი უნდა ჩასცეს მას. ეს მედალი საუკეთესო მოგონება იქნება იმ მძიმე და დიდი ბრძოლებისა, რომელიც ჩვენ გადავიხადეთ კავკასიონის კალთებზე. გაუმარჯოს დიდ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს**, რომლის გენიალური ხელმძღვანელობით ყოველდღიურად გამარჯვებას ვაღწევთ!

მებრძოლთა ერთსულოვანმა „ვაშამ" დაჰფარა გარემო. დიდხანს არა სცხრებოდა მათი მოგუგუნე ხმა.

აწყვეს მედლების გადაცემა.

შენაერთის მეთაური პირველად მედალს უბნევს მკერდზე ნაწილის უფროსს.

ერთი-მეორის მიყოლებით გამოდიან კაპიტანი ჩინჩალაძე, უფროსი ლეიტენანტი იშხნელი, უფროსი სერჟანტი ნეფარიძე, უფროსი ლეიტენანტი დვალიშვილი, ზემდეგი კვანტაღიანი, უფროსი სერჟანტი გურგენიძე და სხვ. დაჯილდოებულებს მეთაურები სიყვარულით უკეთებენ მკერდზე მედლებს და ახალ წარმატებებს უსურვებენ.

ჯერ ძედლის მისაღებად მტკიცე ნაბიჯით მოემართება უფროსი. ლეიტენანტი დვალიშვილი. მას მკერდს წითელი ვარსკვლავის ორდენი უმშვენებს. ის იბრძოდა სოფელ მიაუსკაიასთან. მან თავის მეტყვიამფრქვეველთა ქვეგანაყოფით მდინარე ბაქსანი გადალახა, უკუაგდო გერმანელები და დაბა ბაქსანში სხვა ნაწილებთან ერთად შევიდა.

როდესაც უფროსი სერჟანტი გურგენიძე მედალს იღებდა, მას თვალწინ წარმოუდგა გადატანილი ბრძოლები, მოაგონდა თეორი თოვლის ზეწრით გადაფარებული იალტუნი, მის ძირში კი მომავალი მტრის ტანკები. აი მაშინ წარბშეუხრელად გადაეღობა მათ გურგენიძე. თავისი ქვემეხის პირდაპირი დარტყმით მან ორი ტანკი დააზიანა. შემდეგ გურგენიძეს ჩვენი სხვა მებრძოლებიც წამოეშველნენ და უკუაგდეს მტერი.

მგზნებარე სიტყვას ამბობს გურგენიძე. იგი სიტყვას აძლევს სამშობლოს, სარდლობას, რომ უფრო აამაღლებს თავის მეომრულ ოსტატობას და თავისი გულდის მებრძოლებს გადასცემს ბრძოლის ველზე მიღებულ გამოცდილებას.

მედლების გადაცემის შემდეგ იმართება აღლუმი. ყოველი მებრძოლის მოხდენილ და მტკიცე ნაბიჯში სჩანს მათი მამაცობა და მზადყოფნა სამშობლოს პირველსავე დაძახილზე გაემართონ მტრის საბოლოოდ გასანადგურებლად.

ე. პოლუმოგრდვინოვი

• • •

ბორი („**კომუნისტის**" **ხაკუთარი კორესპონდენტისაგან**). 9 ოქტომბერს ბორის სახელმწიფო თეატრში მოხდა რაიონის მოწინავე ადამიანებისათვის გადაცემა მედლისა „კავკასიის დაცვისათვის". საზეიმოდ მორთულ თეატრში თავი მოიყარეს რაიონის საწარმოთა, დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა წარჩინებულმა ადამიანებმა, რომელნიც დაუცხრომლად მუშაობდნენ კავკასიის დასაცავად.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ბორის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მიხანაშვილმა.

რაიონის საწარმოთა, დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა გამოჩენილ ადამიანებს მედლები გადასცა მშრომელთა დეპუტატების ბორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ფ. ბუჯიაშვილმა. მედლები მიიღეს ბორის საკონსერვო ქარხნის სამასოვნებმა ნინო კაკაბაძემ, კოსტა შენგელიამ, ნიკოლოზ კუდუხაშვილმა, პავლე ურიგაშვილმა, სპეციალურ-ქრის უფროსმა ინჟინერმა ნიკოლოზ ღვინიანმა და სხვ. მედლები გადაეცათ კოლმეურნეობათა ორდენსან თავმჯდომარეებს ივანე ჯანეიშვილს, სანდრო ბერაშვილს, სამსონ ბერძენიშვილს, აგრეთვე სოსო მიხანაშვილს, სანდრო მურადაშვილს, ანტონ მჭედლიძეს, ანასტასოვს, ხარიბეგაშვილს, ორჯონიკიძეს და სხვ.

მედალი „კავკასიის დაცვისათვის" გადაეცა აგრეთვე ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს ხარაულს, გვერდწითელს, ჩიკვაიძეს, თალიაშვილს.

რაიონის 404 ადამიანმა მიიღო სამამაყო მედალი. დაჯილდოებულთ სიტყვით მიმართა ბორის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ბუჯიაშვილმა. დაჯილდოებულთა სახელით სიტყვით გამოვიდნენ და ახალი ვალდებულებანი აიღეს ბორის საკონსერვო ქარხნის ინჟინერმა ამხ. ნ. ღვინიაშვილმა და ნიქოზის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. კაპანაძემ.

შ. ჩუბინიძე

დ ე ბ ე ფ ე ბ ი

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია: მოკავშირეთა ხიდწინა სომაგრეში ლეოპოლდის არხზე გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. მოწინააღმდეგის ცდები — მოესპო პლაცდარმი, ჩაშლილია. მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც 9 ოქტომბერს დილით შელდის შესართავის სამხრეთ ნაპირზე გადასხდნენ, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ანტვერპენის ჩრდილოეთით მოპოვებულია ადგილობრივი წარმატებანი.

აახენის რაიონში განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

მეცის ჩრდილოეთით მოგერიებულია მტრის კონტრიერიში მეზიერ-ლე-მეცის რაიონში. მოკავშირეთა ავანგარდებმა ნანსის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ლეტრიკურს მიაღწიეს. ამ სექტორში განთავისუფლებულია კიდევ რამდენიმე ქალაქი, მათ შორის სიერი, ლექსიერი და სერიერი.

1.100-ზე მეტი ძმიმე ბომბდამშენი უაღრესად დიდძალი ავიაგამანადგურებლის თანხლებით 9 ოქტომბერს თავს დაესხა სამხედრო ობიექტებს სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში. ძირითადად დაბომბვა განიცადეს ფრანკფურტის, კობლენცისა და მაინცის რაიონებმა. 9 ოქტომბერს ღამით მძიმე ბომბდამშენებმა გაიფთრებული თავდასხმა მოახდინეს ბოხუმზე (რური), დაბომბილ იქნა აგრეთვე ობიექტები ვილჰელმსჰაფენში.

ლონდონი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში, სადაც კვლავ ცუდი ამინდი და უგზოობაა, საომარი ოპერაციები შე-8 არმიის სექტორში პატრულთა მოქმედებით განისაზღვრებოდა. მაშინ როცა მე-5 არმიის სექტორში. მეწონავე ნაწილებმა რამდენადმე გაიუმჯობესეს პოზიციები.

მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ დაახლოებით 300 თვითმფრინავ-გაფრენა მოახდინა.

ავსტრიაში მღელვარება გრძელდება

სტოკჰოლმი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთ „სტოკჰოლმს ტიდნინგენის" ბერნელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ნეიტრალური წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ავსტრიაში მღელვარება გრძელდება. ეს მღელვარება, რომელიც ვენაში დაიწყო სურსათის გაცემის ნორმების **ახალ** შემცირებასთან დაკავშირებით, ავსტრიის სხვა რაიონებშიც გავრცელდა. **შტირიაში** აჯანყებულთა ჯგუფი ქალაქ გრაცში გამაგრდა. „სს" ნაწილებმა ვერ შესძლეს აჯანყებულთა წინააღმდეგობის დაძლევა. გერმანელები იმუქრებიან, ქალაქს ჰაერიდან დაბომბავთო.

ციენევა, 10 ოქტომბერი. (საკდესი). „გაზეტ დე ლოზანის" ცნობით, გესტაპომ ავსტრიაში დააპატიმრა ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის ვენის უნივერსიტეტის მთელი რიგი პროფესორები. დაპატიმრებულნი საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს. გერმანელები მკაცრ რეპრესიებს მიმართავენ უცხოელ მუშათა წინააღმდეგ. გასულ კვირაში 12 უცხოელი მუშა სიკვდილით დასაჯეს იმისათვის, რომ უცხოეთის რადიოგადაცემას ისმენდნენ.

გერმანელებს **ეშინოდათ** უცხოელი მუშების მასობრივი აჯანყებისა და მათ შორის ბევრს აპატიმრებენ. სწარმოებს გაძლიერებული **ჩხრეკა** უცხოელ მუშათა შორის: გესტაპოელებს მათთან ისეთ საგნებს, რომლებიც შეიძლება იარაღად იქნას გამოყენებული. უცხოელ მუშებს ართმევენ ყველა დანას და სხვა მჭრელ ნივთებს.

სასურსათო სიძნელენი გერმანიაში

სტოკჰოლმი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). შვედური ჟურნალი „ინდუსტრია" ეხება სასურსათო მდგომარეობას გერმანიაში და სწერს, რომ გერმანია წელს რუმინეთის მოსავლით ვეღარ ისარგებლებს, რაც მეტად სამძიმო იქნება გერმანელებისათვის, განსაკუთრებით უკრაინის დაკარგვის შემდეგ. მოელიან, სწერს ჟურნალი, რომ წელს კარტოფილის მოსავალი გერმანიაში გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე მრავალი წინანდელი წლის განმავლობაში. საკმაო არ არის აგრეთვე საჭონლის საკვები. ცხიმების მარაგი შემცირდა, ვინაიდან იკლო მისმა შეტანამ სხვადასხვა ევროპიდან და ნორვეგიიდან. მოსალოდნელია ღორის სულადობის შემდგომი შემცირება.

ციენევა, 10 ოქტომბერი. (საკდესი). შვეიცარიული გაზეთი „ნაციონალ ციეტუნგი" იუწყება, რომ მუშახელის ნაკლებობის გამო მოსავლის ასაღები სამუშაოები გერმანიაში ცუდად შესრულდა და ამან შეამცირა ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავალი. საგრძნობი აგრეთვე მოსავლის გადასატან სატრანსპორტო საშუალებათა ძლიერი ნაკლებობა.

ფეკლევში გაიხსნა საბჭოთა ფოგოგამოფენა

თეირანი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ფეკლევში გაიხსნა სევასტოპოლის გმირული დაცვისადმი მიძღვნილი მუდმივი საბჭოთა ფოტოგამოფენა. გამოფენა დიდი წარმატებით სარგებლობს. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი ჩანაწერები მნახველთა წიგნში.

ფეკლევის გუბერნატორი მეიხენი სწერს: „ასეთი გამოფენების ნახვით ირანელი ხალხი ეცნობა მეგობრული წითელი არმიის სიმამაცეს, სიმძლავრესა და გმირობას, იტყობს, თუ რანაირად შესძლო ამ არმიამ წარმატებით დაემარცხებინა, მოეპო მტრის ესოდენ ძლიერი არმია". ფეკლევის საავადმყოფოს დირექტორმა ექიმმა ბეკზადემ გამოფენის დათვალიერების შემდეგ ჩასწერა: „წითელმა არმიამ თავისი სამშობლოსათვის ბრძოლაში თავდადების, პატრიოტიზმისა და გმირობის ნიმუში გვიჩვენა".

ირანის მეჯლისის თავმჯდომარის არჩევნები

7 ოქტომბერს შესდგა მეჯლისის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნები. თავმჯდომარის პოსტზე კანდიდატებად დასახელებული იყვნენ მოჰამედ სადიხ ტაბატაბაი, ამირ თეიმური და ფაროჰი. პირველი კენჭისყრის დროს ტაბატაბაიმ მიიღო 55 ხმა, ამირ თეიმურმა—31, ფაროჰმა — 21. ვინაიდან პირველი კენჭისყრის შედეგებს არ მოუცია ხმების საჭირო უმრავლესობა, ჩატარდა მეორე კენჭისყრა, რის შედეგადაც მეჯლისის თავმჯდომარედ ხელახლა არჩეულია მოჰამედ სადიხ ტაბატაბაი, რომელმაც 112-დან 65 ხმა მიიღო.

მეჯლისის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია მალექ მადანი, მეორე მოადგილედ—დოქტორი მოაზემი. (საკდესი).

სპორტი

სტალინირის თეატრში

კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის ოსურმა დასმა (სამხატვრო ხელმძღვანელი ზ. ჩაბიევა) 1944-1945 წლის სეზონი გახსნა დ. კუსოვის პიესით — „წყევლა", რომელიც დაწერილია სამამულო ომის თემაზე.

თეატრის რეპერტუარშია ფ. შილერის „ყაჩაღები", უ. შექსპირის „ოტელო", კაცისა და რეუშევსკის „ოლეკო დუნდიჩი".

აღდგენილ იქნება წინაწლების დადგმები: ვ. ბრიტაევის „ამრან", მ. მაგლობოვის „სასიძო", ვ. ბრიტაევის „ორი და".

ქართულმა დასმა (სამხატვრო ხელმძღვანელი ალ. ლორთქიფანიძე) 1944-1945 წლ. სეზონი გახსნა ცარიელი ომამდელი „ჯოტო" [illegible] მომავალი წლის რეპერტუარში შეტანილია: [illegible] „ბაღი", ს. ფეიქრეს „ბოლო ბეღელი", ს. კლდიაშვილის „ბრძოლის ველი", დარასელის „კაკვიძე", ა. ოსტროვსკის „[illegible] მოსავლიანი ადგილი", „ადვოკატი პატენი" [illegible] და ა. არბუზოვის „სახლი ჩერეზოვებში".

გარდა ამისა აღდგენილ იქნება წინა წ[illegible] ბის სატკეთესო დადგმები: უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალან", მ. ჯაფარიძის „[illegible] რის ასული", ვერნელის „ელენეს მოტაცება".

ძველი ქართული ენის ძეგლები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების დადგენილებით გამოდის წიგნების სერია „ძველი ქართული ენის ძეგლები". ამ სერიაში დაბეჭდილია ქართული ენის წერილობითი ისტორიის ძველი პერიოდის მთავარი წყაროები. სახელდობრ, განზრახულია გამოიცეს ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, V-X საუკუნის ეპიგრაფიული მასალები, პალიმფსესტებიდან ამოკითხული ხანმეტი-პალეტი ტექსტები, ჭილოსტატის იადგარი (IX-X სს), იოანე ოქროპირის ცხოვრება (968 წ.), ძველი ლექციონარები და სხვ. ტექსტებს თან დაერთვის გამოკვლევები, უმთავრესად ენის შესახებ.

ამ სერიის პირველი წიგნი—„ხანმეტი ლექციონარი" (ფოტოტიპიები) უკვე გამოსცა მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ. უძველესი პერიოდის ძეგლთა შორის ის ერთადერთი, რომლის ტექსტი თითქმის [illegible] უხლებლად არის დღევანდლამდე მოღწ[illegible] და ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნ[illegible] აქვს.

წიგნს თან ერთვის აკადემიკოს ა. შანიძ[illegible] წინასიტყვაობა და სიმფონია. ხანმეტი [illegible] ციონარი წარმოდგენილია მხედრული ტ[illegible] ლიტერაციით და ძველი ხელნაწერების [illegible] ტოტიპიებით.

ამჟამად იბეჭდება ამ სერიის მეორე [illegible] ცემა: ორი უძველესი რედაქცია ქართ[illegible] ოთხთავისა სამი შატბერდული ხელნაწ[illegible] მიხედვით (897, 936 და 973 წწ). მზადდ[illegible] დასაბეჭდად ძველი აღთქმის წიგნები [illegible] წლის ოშკური ხელნაწერის მიხედვით [illegible] ტომად).

პროფესორი პ. ვ. ნანეიშვილი

7 ოქტომბერს გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კლინიკის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი პიმენ ვასილის-ძე ნანეიშვილი.

პ. ვ. ნანეიშვილი დაიბადა 1892 წელს სოფელ ორპირში (სამტრედიის რაიონი). 1912 წელს დამთავრა ბათუმის კლასიკური გიმნაზია ოქროს მედლით, 1917 წელს კი ქ. ოდესის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. შემდეგ ის მუშაობდა საქართველოში — ჯერ სოფლად, შემდეგ კი ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე.

1921 წლიდან პ. ვ. ნანეიშვილი მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ბავშვთა სნეულებიან კლინიკის ორდინატორად. დაუშრეტელმა ენერგიამ, დიდმა უნარმა, თავისი სპეციალობისადმი განუსაზღვრელმა სიყვარულმა ის სწრაფად დაიწინაურა: 1925 წელს მან მიიღო ასისტენტის წოდება, 1931 წელს—დოცენტის წოდება. 1932 წელს იგი უკვე მეთაურობს დამოუკიდებელ კათედრას, 1935 წელს კი—სადოქტორო დისერტაციის ბრწყინვალედ დაცვის შემდეგ, იღებს პროფესორის წოდებას.

პარტიამ და ხელისუფლებამ მაღალი შეფასება მისცეს პ. ვ. ნანეიშვილის ფრიად ნაყოფიერ მოღვაწეობას: 1944 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მას მიანიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის აპატიო წოდება.

მთელი თავისი ცოდნა და უნარი პროფესორმა პ. ვ. ნანეიშვილმა მიუძღვნა პედიატრიას—ბავშვთა მკურნალობას. როგორც გამოჩენილი ექიმი-პედიატრი, ის მშრომელთა შორის დიდი პოპულარობით, სიყვარულითა და ნდობით სარგებლობდა.

პ. ვ. ნანეიშვილმა ბავშვთა სნეულებათა დარგში მოამზადა მრავალი წყება ექიმ-პედიატრების [illegible] ბოვანი კადრი. ის აღჭურვილი იყო დიდი [illegible] ქიმი და პედაგოგიური გამოცდილებით. [illegible] ლექციები, ფორმით [illegible] ზიდველი და ფრიად [illegible] ნაარსიანი, ყოველთ[illegible] ადგენენ ცოდნის თან[illegible] დროვე დონეზე, აღიარ[illegible] ნენ ამრა, ინტერ[illegible] მეცნიერებისადმი და [illegible] ყვარულს ბავშვებისა[illegible] როგორც პედაგოგი [illegible] ხელმძღვანელი, ის უ[illegible] რესად მომთხოვნი [illegible] ატუდენტებისა და ექიმ[illegible] ადმი, რომელნი აღ[illegible] და მომზადება მას სახ[illegible] ცწოფომ მიანდო.

პ. ვ. ნანეიშვილს [illegible] ლამს ეკუთვნის პედ[illegible] ტრის დარგში ათეულ[illegible] ძვეოფ�ი ააძეცნიერო შრომა, მათ რიცხ[illegible] დიდი მონოგრაფიული ნაშრომი მენინგიტ[illegible] და ორიგინალური გამოკვლევა პნევმომედ[illegible] ტინუმის და პნევმოთორაქსის შესახებ.

პ